ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 172
შაბათი, 11 აგვისტო, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12. . .	10	—	6 . . .	6	—
11. . .	9	50	5 . . .	5	50
10. . .	8	75	4 . . .	4	75
9. . .	8	—	3 . . .	3	50
8. . .	7	25	2 . . .	2	75
7. . .	6	50	1 . . .	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877–1901

ივერია

№ 172
შაბათი, 11 აგვისტო, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ტფილისი

5-ს ამ მარიამობისთვეს სოფ. კაჭრეთში გარდაიცვალა

თავადი ზაზა დონიკეს ძე ანდრონიკოვი.

ხვალ, კვირას, 12-ს ამ თვისას, გარდაცვლილის სულის მოსახსენებლად ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში დილის 9½ საათზედ გარდახდილ იქმნება წირვა და მის შემდეგ პანაშვიდი.

თავადი რევაზ ქაიხოსროს ძე ვაჩნაძე შვილებითურთ
ამით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 18-ს აგვისტოს, სოფ. ბაკურციხის წმ. გიორგის ეკკლესიაში გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

კნ. ეკატირინე ივანეს ასულის ვაჩნაძის

სულის მოსახსენებლად. წირვა დაიწყება დილის ათს საათზედ და შემდეგ პანაშვიდი მოჰყვება. (3—172—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო ,ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. ქარ აპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვებისავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 საათ.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშნვით.

დირექტორი სამკურნმლოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარია

აცხადებს, რომ ამა წლის ენკენისთვის პირველ დღიდან თავისუფლდება როინაშვილის ფოტოგრაფიის **გამგეს ადგილი.** ვისაც ჰსურს ეს ადგილი დაიჭიროს, მან უნდა თხოვნით მიჰმართოს საზოგადოების გამგეობას. ჯამაგირი თვეში იქნება 50 მან. და წმინდა მოგებიდგან 25%. (—6—)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. (6.)

ქართული დრამატიულის საზოგადოების გამგეობა.

სექტემბრის პირველ რიცხვებში გაჰმართავს

გამოსაცდელ წარმოდგენას

ვისაც ჰსურს ამ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღება, იმან უნდა მიჰმართოს საზოგადოების კანტორაში (სათავად-აზნაურო ქარვასლაში, თეატრის გვერდზედ) ყოველ დღე, დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის პირველ საათამდე. (55გ—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

მიხეილ გედევანიშვილისა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

გ. გ. მალალაშვილი.—შინაგან; საშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის, 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ე. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა. 1—2 ს.

ვ. ლ. მარკევიჩი.—საქირურგო, 12½—1½ საათ. საშაბათობით. 3—4.

ი. დ. ბებთაბეგოვი. სიფილისისა, კანისა და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი. 5—6 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მალალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ფელეტონი

ქიზიყის უბედურება.

წერილი მეორე.

თუ რას წარმოადგენდა ნახევარ საუკუნის წინად საქართველოს დიდი კუთხე-ქიზიყი, რას წარმოადგენს იგი დღეს და როგორის ჭაპანწყვეტით უძლვება თავისი გაფართოებული მეურნეობა-მრეწველობის შემოსავლით თავისს დღევანდელ ცხოვრების გაათასკეცებულ სოჯახო ხარჯებს და ერთი ათად და ოცად მომატებულ სახელმწიფო თუ სოფლო-საზოგადო გარდასახადებს--- ყველა ამაების ჩამოთვლით თავს არ შევაწყენთ, რადგანაც მათ შესახებ წინამდგომარე წლის „ცნობის ფურცლის“ (№ 1390) ფელეტონში [illegible] მოკლედ ნათქვამი ქიზიყის ცხოვრების ავ-კარგის ცნობის-მოყვარეთათვის.

დაუცხრომელ დაღისტნის დაბყრობისა და გულ-ღვარძლიან, მოსისხლე შამილის დატყვევების შემდეგ (1859 წ.), დაშრა ბრძოლის ველზე ადამიანთა სისხლის გუბეები, [illegible] მთა-ველ-მინდვრის უანგარიშო ნადირებსა და სვავ-ყვავ-ყორნებს სისხლი და ხორცი ადამიანისა, მოისპო საზარელი შიშიანობა და დამშვიდდა ქართველთა სისხლით გაუმაძღარ ბარბაროს-მტარვალთაგან მრავალ-ტანჯული ქიზიყიც, რომელიც მალე წელში გაიშალა, სულ-შეხუთულმა თავისუფლად ამოისუნთქა, სამუდამოდ გამოძვრა მთის წვერებზედ და მაღლობებზედ მრავლად წამოჭიმულ ორიათასწლოვან, გარკინტინებულ ციხეკოშკების ხავს-მოკიდებულ სამალავებიდამ და ზეცისაკენ დიდის სასოებით თვალებ-აბყრობილმა, ცრემლმორეულმა მადლი შესწირა დამბადებელს გულ-მხურვალე ლოცვაკურთხევით, რადგანაც ორი ათასის წლის მედგარ ბრძოლის გამუდმებულ სისხლის ღვრაშიაც საშვილიშვილოდ შეინარჩუნა ღვთისაგან მონიჭებული თავისი დედა-ენაც, რჯულიც, ხალხოსნობაც და მიწაწყალიც, რომლისათვისაც აღფრთოვნებით მღეროდნენ გარისხებულ ცის გრგვინვასავით მქუხარე ხმაზედ ქართველთა შეთოფ-იარაღებული გმირები ამ ძველთაგან და ბრძენთაგან ნათქვამს უფასო თვალ-მარგალიტებს: „მამულო, შენთვის მოვკვდები, შენთვის ჩავიცვამ შავსაო, შენ შემოგწირავ სიცოცხლეს, შემოგევლეში თავსაო!..“

დიაღ, ასე უმღეროდნენ და უგალობებდნენ უწინდელი მეურნემეომარნი ქართველნი თავიანთ საყვარელ სამშობლო მამულს, რადგანაც თავდაპირველიდგანვე საქართველოს უმთავრესი წყარო ცხოვრებისა მიწა-მამული (მეურნეობა) იყო, არის და იქნება საუკუნოდ და სამარადჟამოდ. მაგრამ ვაი იმ ხალხს და იმ ქვეყანას, რომლის უხეიროდ დაყენებული მეურნეობა-მრეწველობით და მისს საწველ-საკრეჭად მომართულ აღებ-მიცემობით სხვები მდიდრდებიან, მილიონებს იძენენ და იმ მილიონების თავდაპირველნი მიზეზნი, ჭირის ოფლის მღვრელნი მიწის მუშანი კი ქონების ფიტს ვერ იკრავენ და ერთს წელიწადს რომ უმოსავლობა შაესწროთ, მთლად ილუპება ორფეხა მგელკაცებისაგან გამოხრული უმრავლესობა, რომელსაც ერთი გროშიც არ აბადია შავის დღისათვის. აი ასეთი სავალალო და სავაგლახო ვაი დაატყდა დღეს უმოსავლობისაგან იმ დიდის მთა-ველმინდვრების ათასნაირ გულუხვის მოსავლით და ლომკაცურის გარჯაშრომით განთქმულ ქიზიყს, რომლის მეურნოება-მრეწველობის უანგარიშო ჭირნახულს—ცხოვრების ცუდი წეს-წყობილების გამო—მუდამ ჩალის ფასად მიარბენინებს ხეჩო, ბალია, და ტეტიაკი რჩება ყბა-ღია, ანუ რუსები რომ იტყვიან ხოლმე: **Мужикъ пиво заварилъ, а чортъ уже стоитъ съ ведромъ!**

ქიზიყის უბედურებაზედ ამას წინადაც ვწერდი ორიოდე სიტყვას „ივერია“-ში (№ 154), ეხლაც უნდა მოგახსენოთ ცოტა რამ და შემდეგშიაც, რადგანაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ამოდენა, ასი ათას მცხოვრებელთა მაზრის დამშევა ათას გვარ სავალალო და სავაგლახო უბედურებას დაჰბადებს ხალხში და მრავალ საჭირ-ბოროტო კითხვებსაც გამოიწვევს სხვა-და-სხვა ღონისძიებისათვის. დიაღ, ხუმრობა საქმე როდია, ასეთს უბედურებაში ჩავარდნილს კუთხეს ყველასაგან შეწევნა და დახმარება ეჭირვება ამთავითვე, თორემ ამოდენა მაზრის ხალხის უკიდურესი გაჭირვება ძალაუნებურად წარმოჰშობავს ხალხშივე ათასგვარ ავ-კაცობას, ქურდობა-ავაზაკობას, ვალისა და გარდასახადების მთხოვნელთა და მოვალეების შორის საშინელ შეტაკება-დავიდარაბას, რიგიანად უჭმელ-უსმელობისაგან და სავაივაგლახო გაჭირვების სევდაბოღმისაგან მრავალგვარ ავადმყოფობასდა უდრო-უჟამო სიკვდილსაც; და აი სწორედ ეს უნდათ კიდეც სოფლის ჭამია მოვახშეებსაც, მოქრთამე მოხელეებსაც, გაქნილ აბლაკატებსაც, გოგოლის ქვემძრომელა ჩინოვნიკებსაც; კარგამყოფების საიქიოს გამსტუმრებელ ჯანაოზაქიმებსაც და უანგარიშო ბეჩავ ხალხის თავისს ჰკვაზედ მათამაშებელ მკითხავ-ქადაგებსაც, რომ ტყავგამძვრალი ხალხი ხელმეორედ გაატყაონ თავიანთ კრუხად-დასმულ ხაზინის სასარგებლოდ. ყველა აქ ჩამოთვლილს უბედურებას შემდეგი უბედურებანიც აუცილებლად თან მოჰყვებიან ბოლოს: ხალხის უქონლობით საშინლად შემცირდება და დაეცემა მეურნეობა, მრეწველობა, აღებ-მიცემობა და ამის გამო უფრო მეტად გალატაკდება წელ-გულ მოწყვეტილი ხალხი.

როგორც წინა წერილშიაც ვწერდი, ოც წელიწადზედ მეტია, რაც ასეთი საშინელი მოუსავლობა არა ყოფილა ქიზიყში. ისე პირწმინდად დაელუპათ წელს ქიზიყელებს ზამთარ-გაზაფხულ-ზაფხულის ხანგრძლივ გვალვებისაგან თავიანთ უმთავრესი სარჩო-საბადებელი: დიდძალი ყანები, ქერები, ფეტვები და სიმინდები, რომ თესლიც დაეკარგათ. დაელუპათ უდიერი გვალვისაგანვე დიდი ბაღეულობაც, ბოსტნეულობაც, ხილეულობაც და ალაზნის ველზედ შორით-შორამდე გადაჭიმული თამბაქოს პლანტაციებიც. გაუნახევრათ გვალვამ, ნაცარმა და რამდენჯერმე მოსულმა სეტყვამ სანაქებო ღვინის დამბადებელი ვენახებიც. გაუწყდათ ზამთარ-გაზაფხულის უბალახობისაგან დაჯანდაგებული მრავალი ცხვარ-ძროხაც. ზოგიერთებმა ლუკმის გულისათვის უკვე გაყიდეს ნახევარ-ფასად საყვარელ შვილივით ნებივრად გაზდილი მუშა-საქონელიც, ჰყიდიან დღესაც გაჭირვების გამო ოთხ-ფეხ საქონელს ნაკლებ-ფასად, და ველარსადა შოულობს ხალხის უმრავლესობა სამუშაოსაც მოუსავლობისაგან უსაქმოდ დარჩენილ მუშათა

ახალი ამბავი

⁂ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი პეტერბურგიდგან უკვე დაბრუნდა.

⁂ „Торг.-Промышл Газ.“-ის სიტყვით, 13 მაისს 1901 წ. უმაღლესად დამტკიცებულის მინისტრთა კომიტეტისა და სახელმწიფო საბჭოს სახელმწიფო ეკონომიის დეპარტამენტის შეერთებულ საკრებულოს დებულებით დადგენილი თურმეა, რომ კახეთის რკინის გზის საზოგადოების დამფუძნებელთ დეისტ. სტ. სოვ. თავ. ჭავჭავაძესა და სტ. სოვ. სიმბერგს უფლება დაკარგული არა აქვთ აღნიშნული რკინის გზა გაიყვანონ.

⁂ მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორს ბ-ნ სანდრიგაილოს 20 აგვისტოს მოელიან ტფილისში.

⁂ უმავთულო ტელეგრაფის გამომგონებელს სამსახურიდგან გამოსულს პოლკოვნიკს პილსუდსკის ფოსტა-ტელეგრაფის უწყებაში წინადადება შეუტანია ბათუმი და იალტა, ტფილისი და კავკავი და პეტერბურგი და ერთი რომელიმე ადგილი რუსეთისა, რომელსაც ტელეგრაფის უწყება დაასახელებს, თავისის ახალი სისტემით შეაერთოს დეპეშების უმავთულოდ გასაგზავნად.

⁂ როგორც გაზ. „Асхабадъ“-ს ატყობინებენ დეპეშით პეტრბურგიდგან, სამხედრო მინისტრი გენერალი ინფანტერიისა ა. ნ. კუროპატკინი ენკენისთვის ბოლო რიცხვებში ამიერ-კავკასიაში თურმე აპირებს ჩამოსვლას.

⁂ როგორც „Тор. Пром. Газ.“ იუწყება, 8 ივნისს 1901 წ. უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით, კავკასიის საკარანტინო დაწესებულებანი და ადგილობრივი საკარანტინო დარაჯი ფინანსთა სამინისტროს გამგეობიდგან შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგეობას თურმე გადაეცემა.

⁂ კავკასიის რკინის გზის გამგეობა მალე 40 მესამე კლასის სამგზავრო ვაგონს მიიღებს, 20 მეორისას, 10 პირველისას და მეორისას და 5 პირველ კლასისას. საჭიროა რკინის გზის გამგეობამ ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ ამ თვის ნახევრიდგან საარაკოდ წასული ხალხი უკან დაიწყებს დაბრუნებასა და მატარებლები, რაც უნდა ბლომად მოუბან ვაგონები, მაინც ხალხით გატენილე'ი იქნებიან, მაშასადამე, საჭირო იქმნება ან ბილეთები არ გაჰყიდონ ხოლმე იმაზედ მეტი, რაც ხალხი ვაგონებში ჩაეტევა, ან და საკმაო რიცხვი სათადარიგო ვაგონებისა მუდამ იქონიონ დიდ სადგურებზედ, რომ საჭიროების დროს მოუბან ხოლმე.

⁂ ამას წინად აღნიშნული გვქონდა, რომ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ თვისს სხდომაზედ საჭიროდ დაინახა 500 მან. გადადება საზოგადოების სადგომის შესაკეთებლად. აღნიშნულ სადგომის შეკეთებას უკვე შეუდგნენ.

⁂ კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ ამ დღეებში უკვე გაუგზავნა კავკასიის გამოფენაზედ მოსაწვევი ბარათები მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ერმოლოვს, ფინანსთა მინისტრს ვიტესა და სხვა საპატიო გვამთ.

⁂ ერთის კერძო საქმისა გამო განუმარტავს უმართებულესს სენატს, რომ შეიძლება, თუ-კი ქალაქის საბჭო სახლის პატრონებთან შეთანხმდება, ქუჩების მაკირწვლისა ნაცვლად სახლის პატრონებს ფული გადაახდევინოს ხოლმე და შემდეგ თვითონ მოაკირწყლინოს.

⁂ ტფილისის პოლიციის მე-5 ნაწილის ბოქაულმა მისწერა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, განკარგულება მოახდინოს, რომ პოლიციის ამ ნაწილის ქუჩები მორწყონ ხოლმე. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ბევრი ქუჩა, განსაკუთრებით ქალაქის შუაგულს, სრულიად უპატრონოდ არის მიტოვებული და არამც თუ მორწყვით არავინ იწუხებს თავს, დაგვითაც-კი არავინა ჰგვის.

⁂ ტფილლისის დედათა ეპარქიალურს სასწავლებელში მისაღები და განმეორებითი გამოცდა 27 აგვისტოდგან დაიწყება.

⁂ სასულიერო უწყებაში განკარგულება მოუხდენიათ, რომ მედავითნეები ადგილზედ გამწესებამდე სამრევლო-საეკლესიო საქმეების წერაში უთუოდ გამოსცადონ ხოლმე. მიზეზი ამ განკარგულებისა ის თურმე არის, რომ დღემდის მეტრიკისა და სხვა საეკლესიო წიგნები სულ ერთთავად უთაურად და უხეიროდ ყოფილა ყველგან ნაწარმოები.

⁂ მამა-დავითის მთაზედ ფუნიკულერის გამყვანს ინჟენერს რობის საზღვარ-გარეთ წასვლისას სრული რწმუნების ქაღალდი მიუცია ინჟენერის ა. ა. ბლანშისათვის, რომ როგორც-კი ნებართვას მიიღებენ, მაშინვე მუშაობა დააწყებინოს.

⁂ როგორც გაზეთები იუწყებიან, მომავალს წელს დიდ მარხვაში კავკასიასა და ტფილისს თურმე ეწვევიან ცნობილნი იტალიელნი არტისტნი ტომას და გუსტავ სალვინნი (მამა და შვილი), ორივენი ერთად თურმე ითამაშებენ ერთსა და იმავე პიესაში და დღეს რომ ერთი როლს შეასრულებს, მეორე დღეს იმავე როლს მეორე შეასრულებს, რომ მაყურებლებმა სრული წარმოდგენა იქონიონ, რომელი მათგანი ამ როლს როგორა თამაშობსო.

⁂ გერმანიის ქვეშევრდომმა გ. ვ. ზომმერფელდმა გამოუცხადა პოლიციას, რომ ხარკოვის სავაჭრო სახლის „Пономаревъ и Рижовъ“ უმთავრეს ბუგალტერათ ნამყოფი ბ-ნი ე. ე. გოლბრეიტერი, რომელსაც სიყალბის ჩადენა და 50,000 მან. მოტაცება ჰბრალდებოდა და პოლიცია დაეძებდა, ტფილისში იყო, სასტ. „ლონდონში“ ჩამოხდარი და აქედგან ჩუმად სადღაც გაიპარაო. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, გოლბრეიტერს მართლა აღნიშნულს სასტუმროში უცხოვრნია, 86 მან. გაუყოლებია თანა და პეტროვსკში დაუჭერია პოლიციას ვოკზალზედ.

⁂ ივლისის განმოავლობაში ტფილისის უსინათლოთა სამკურნალოში სულ 384 ავადმყოფი მიუღიათ და ამათგან 39 ოპერცია გაუკეთებიათ.

⁂ ტფილისის საკრედიტო საზოგადოების სახლის დარაჯმა ავეტიქ ხაჩატურიანცმა, გუშინ-წინ, საღამოს 7 საათზედ, პოლიციის მე-4 ნაწილში ყაზახის მაზრის მცხოვრები გიორგი მეგრობიანცი მიიყვანა, რომელსაც თან ჰქონდა მოპარული თოფი. ქურდი გამოტყდა და განაცხადა, რომ თოფი და სამი ბოხჩა სხვა-და-სხვა ნივთებით თავ. მიხეილ ელიზბარის ძის არღუთინსკი-დოლგორუკის სახლიდგან მოიპარა ორ სხვა უცნობ კაცთან ერთად.

⁂ ტფილისის პოლიციის მე-5 ნაწილის ბოქაულმა მისწერა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ ხორბლის მოედანი (Хлѣбная площадь) შესწორებულ იქნეს, რადგანაც იგი ამ ჟამად ყოვლად უვარგისს მდგომარეობაშია.

⁂ პოლიციის მე-10 ნაწილის ბოქაული სთხოვს ქალაქის გამგეობას გაგზავნოს ქალაქის ერთი ტეხნიკოსი საშოვის სახლის შესამოწმებლად.

⁂ პოლიციის მოხელემ მე-5 ნაწილში, არაქელოვის სახლის ეზოში, ორის დღის დაბადებული მიგდებული ბავში ნახა მდედრობითის სქესისა; ბავში ოლგასაბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილი.

კავკასიის მომავალი გამოფენა

ჩვენი ახალგაზრდა მხატვარი ალექსანდრე მრევლიშვილი კავკასიის გამოფენას 6 სურათსა და 1 აკვარელს თურმე უგზავნის.

ბ-ნი ივანე მამაჯანოვი ქუთაისიდგან გამოფენას თავისს მიერ გამოგონილს სალეწს მანქანასა და ხის სახერხს თურმე უგზავნის.

გამოფენის კომისარს თავ. ანდრონიკაშვილს უთხოვნია გამოფენის ყველა განყოფილების გამგეებისათვის, რომ გამოსაფენ საგნების დალაგებასა და მოწყობას შეუდგნენ.

როგორც შევიტყეთ, გამოფენის კომისარს თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილს გზათა მინისტრისათვის დეპეშა გაუგზავნია, რომ კავკასიის რკინის გზამ გამოფენაში მონაწილეობა მიიღოს. რკინის გზათა სამმართველომ, როგორც ეხსომებათ ჩვენს მკითხველებს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას ნება არ დაჰრთო მონაწილეობა მიეღო. ვნახოთ მინისტრი რას მოიწერება.

სიმრავლისა და სამუშაო საქმის სიმცირის გამო.

სიკვდილზედაც მეტია სამუშაოს უშოვნელობა იმ საწყალ-უქონელ ადამიანებისათვის, რომელნიც მარტო თავიანთ მკლავზე ჰკიდიან, წლის-წლობამდის შეუწყვეტელ შრომის ოფლს აწვიმებენ დედამიწას და თან გულ-სევდიანი მწუხარე სახით ღიღინებენ: მკლაო, შენ უნდა მიცხოვრო ცოლ-შვილი, სახლი, კარიო, ჩემი სიმდიდრე ეს არი: წერაქვი, ნიჩაფ-ბარიო.

დიაღ, საშინელი შავი დღე გაუთენდა ქიზიყს და ამ შავს დღეს მხოლოდ მაშინ წარმოიდგენს ადამიანი გულის სიღრმემდის საგრძნობლად, როდესაც თავისი თვალით მოიხილებს ადგილობრივ და ყურით მოისმენს უანგარიშო საწყალ-ლატაკების მწარე ოხვრა-გმინვას და უიმედობით სასო-წარკვეთილთა ასეთ გულ-დამთუთქავს მოთქმა-გოდებას.

— ღმერთო! ცისა და ქვეყნის გამჩენო უფალო! რა შაგცოდე იგეთი, შე დალოცვილო, რო ერთხელ არ მომკალ და არ მომასვენე ი ბალთაზან საფლავში მაინც—სულითაც და ხორცითაც დატანჯული კარგ-უნახავი! ღაილოცოს შენი განგება და სამართალი, აბა მე რაღა სასიცოცხლო ვარ და რისათვინ მიდგა პირში სული ეგეთ ჯოჯოხეთში ჩავარდნილს: მუჭაზე დაყრა სარჩო-საბადებელი მე არ მამივიდა, დაფქული და დასაფქვავი მე არ გამაჩნია, ეს ამოდენა ტიტველ-შიშველა ცოლ-შვილი შიმშილით მეხოცება, უსულმერთო მოვალეებისაგან ძვლებამდინ გამოხრულს ბრწყინვალე აღდგომის დღესაც კი შინ კატა ვერას შამიჭამს და გარეთ ძაღლი. ცხვარ-ძროხა მე აღარა მყავს, ვენახი მე აღარა მაქვს, გასასყიდი მე აღარა მაქვავია-რა, გროშიც არ მაბადია, რო თვალზე მივიკრა, სესხითაც აღარავინ-რას მაძლევს, რადგანაც ყველანი ჯოჯოხეთის შაუბრალებელი ქაჯ-ეშმაკები და ტარტაროზები გამხდარან, სამუშაოც აღარსაით არი, მოვალეებიც თავში მიბრაგუნებენ, ახლა კიდე ფოჭტი ფულისათვინ დამიშენენ გზირები და რავქნა, რომელ-ერთ ჭირს გაუძლო, რა თავში ქვა ვიხალო, საით წავიდე, რომელ ღრე-კლდეს მივატანო და რა წყალსა და ღვარში ჩავარდე მე უბედურ მასკვლავზე დაბადებული გაჩენა-ძაღლიო და სხვანი.

დიაღ, ჯერ ეხლავ, შიმშილობის დრამის დასაწყისიდამვე ასე გულსაკლავად ტირიან და ჩივიან მრავალნი უქონელნი, და ვინ მოსთვლის, მემრის ამ დრომდის რაღა იქნება მახრჩობელა გაჭირვების ქაპანწყვეტისაგან, როდესაც ძლევამოსილი შიმშილობა და გაჭირვება თან-და-თან იმატებენ და უფრო მეტად გამძლავრდებიან თავიანთ ყოველის ძალ-ღონით.

მიზდიხართ ქიზიყის ზოგიერთ ღარიბ-ღატაკების სანახავად, სანუგეშებლად და გულსაკლავ სურათს უყურებთ: ფეხშიშველა, დახატული პატარა გოგო-ბიჭები ცხარე ცრემლით იმდუღრებიან საცოდავად და დანიჟებით გაიძახიან ერთსა და იმავეს:

— პული გვსიან, ქა! დედილო, ქალილო!.. ეი! ალ გეკულება! პული გვსიან, სე ოჯაქდაქცეულო! პული! პული!..

მაგრამ სად არი პური, კომლისაგან შემჭვარტლული ვარცლი და კიდობანი ცარიელი გდია სიღარიბით გამოფხეკილ ქოხში და შიმშილით გაშმაგებულ თაგვებს პურის ნამცეცის ნამკეკიც ველარსად უპოვნიათ. დიაღ, უყურებთ იმ გულმდუღარედ ატირებულ პატარა ქალაიებს და ბიჭიკოებს და მათი სიბრალულით თქვენც გული გიტირით და თვალები მდუღარე ცრემლებით გევსებათ. ახლა შეჰხედავთ იმ საბრალოდ ატირებულ ბალღების უნუგეშოდ აქვითინებულს, უბედურს დედას—დედას უწყალო სიღარიბისაგან ძვალ-ტყავად ნაქცევს, უდროვოდ დამჭკნარს, ფერ-გამოლეულს—და მაშინ ხომ სისხლის ცრემლით ქვითინებს გული მნახველისა იმ საწყალი დედა-შვილების მეტის-მეტი სიბრალულით.

— მამა მოგივათ ეხლა, საცაა, გენაცვალეთ, ფქვილს მოიტანს სიღნაღიდამ შვიდ-რვა ნიტრას და მაშინვე ლამაზ ლავაშებს გამოგიცხობთ,—ანუგეშა ბოლოს მრავალტანჯულმა დედამ.

— ისეხ;, კაცო! ისესხე! გულბრაზიანად უჭყიოდნენ ბალღები.

— წელან ჩვენმა წანწალ-გასაქრობმა მეზობლებმა რო აღარ მასესხეს, გაღმა-უბანშიაც ვიარე სასესხებლად, თქვენმა გახარებამ, მაგრამ ყველგან შამპანჩურეს და შამპანღურეს: ი, ნეტავი შენ, რომ საქმე გამოგლევია და ათრახიჩა დალალ-ოსანასავით დაჰკაკლებ კარდა-კარო. გასასხებელი პური ვინ მოგვცეო, კულანდებური დრო ხომ არაღა, ყველას ჩვენი საწყალი თავი გაგვჭირებიაო. ბევრი მოგიცდიათ, ცოტაც მოიცადეთ, შვილო, და სათითაო ბამბიქულასავით კვერასაც დაგიკრათ, ჰოო, თქვენმა დაბერებამ!—ალერსიანად ეუბნებოდა დედა, მაგრამ ძალზე დამშეული ბალღები მაინც თავისას გაიძახოდნენ ტირილით:

— ლა ვქნა! ლა უყო! პული გვსიან, ქაა! პული! პული! ადამიანო!..

რადგანაც ქიზიყის უზარ-მაზარ სოფლებში ასში სამსა და ოთხს კომლსაც ძლივს მოეპოება მეორე კალოობამდის სამყოფი ძველი სარჩო-საბადებელი, ამისთვის, როგორც ვხედავთ, ღარიბ უქონელ ხალხის უმრავლესობამ ახალ მოსავლამდის ანუ მემრის ამ დრომდის თავისი უკანასკნელი ნაბდიძველა და საბნიძველაც-კი ლუკმა პურის სასყიდლად უნდა გაყიდოს ძალუნებურად და რამდენიმე წლის განმავლობაშიაც ველარ გაიშალოს წელში, თუ ხალხის ჭირის მალამოდ გაჩენილმა უმაღლესმა მთავრობამ, კაცთ-მოყვარე ადამიანებმა და ადამიანთავე საკეთილ-დღეოდ მოვლენილმა საზოგადო დაწესებულებებმა მამობრივი გულ-შემატკივრობა და ქრისტიანული შემწყ-
ბა და მცველ-მფარველობა დაზარალ-
ბულ ქიზიყის მრავალ საწყალობ-
და იმ უპატრონო ქვრივ-ობოლ-
ლებს, რომელნიც მკის დროს ნაწნავებში ჩაცვივნილ თავ-თავს ჰკრეფავდნენ თავიანთ საზრდოდ, სხვა-და სამუშაოსა შოულობდნენ აქეთ-იქით ხშირად ჭინჭრით, ბალბით, მხლით, არჯაკელით, ბოლოკით და სხვა ბალახ-ბულახით იკვებებოდნენ და იოლად მიდიოდნენ, დღეს-კი ყველა ერთბაშათ გაუქრათ: თავთავიც, სამუშაოც, საკვები-ბალახ-ბულახიც, და ისინი უფრო სულის ამომხდელ გაჭირვების ღრმა მორევში ჩაცვივდნენ და შველა აღარსაით არის იმათთვის, რადგანაც იმათ თვალ-ცრემლიან ხვეწნა-მუდარას ოთხსავ-კუთხივ ამ პასუხს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაღული

I

აღსარება.

ყანა საოცნებო სარბიელია, ნიაობის“ სამკვიდრო, და ადაან-კი, ბატონად თავის მგონი, . იბადება ტირილით, სცხოვობს ოხვრით და კვდება კვნესით, მაინც იმ თვალ-ხარბსა და -გაუმაძღარს სიცოცხლეზე უტვერა გამოუგონიათ რა!.. ვიყავით და ვართ! ვართ და ვიქნებით! “შფოთავენ ზოგიები.

ვყოფილვართ და ვართ. და რატომ აღარ უნდა ვი-“ ნუგეშობენ სხვები... აქაც ება!.. იქაც ოცნება. პირველი ო, მწარი, მეორე მხიბლავი, არი. რომელ ერთს გაექცევი, ევით გამონატყორცო, კაცადო? დღეს უფალს უვარდები ში, ხვალ—მონას! ხან ბრძენი ობს და ხან უგნური! სიმჩაოლისკენ მიგაფრიალებს, სიმუკანვე გწევს! და მაშ შენ და რაღა ხარ იქ, სადაც „ჰო არა“ გაურჩეველ-გაურკვევე.. სად არც დიდია, არც პატაარც სუსტი, არც ძლიერი!.. ლივე შედარებით წარმოდგე!..

რაღ იყურები, თავმოყვარეოცალ მხრივ?! დიდს თვალს ებ, პატარას ეტოლები და მით ატყუებ. ჰხედავ ჭიამჭველას, დევ-გმირი გგონია!.. ნურს შეჰხვდები, თავი ბრძნად გაქვს!.. უმეცართან გაქვს საქმე, ცნიერობას სჩემობ. აბა მიიხედე მხრისკენაც, თუ არა სთქვა: ტლ ვარ მეო.“

ვაი სიმწარეს!.. ნუ დასჭკნეოცნების ყვავილო, თვალის ტაცო, მატყუარო, მაგრამ მომხიბლავობით აღმამფრთოვანებელო ძალავ!

გაჰქრი, გაუჩინარდი, „ხეო ცნობადისაო,“ თვალთ-ამხელო, მაგრამ სამოთხის დამაკარგვინებელო, და გულის გამტეხო ძლიერებავ! დიახ, „მატლ ვარ მე“ სინამდვილით დაღონებული, ოცნებით სულ-მობრუნებული, მოსურნე სამარადისო განკურნვისა! და ვინ ამიყვანს „მთასა მაღალსა„?

„სასოება!“ მაგულისხმებს ხმა უცნაური—აიტანე გულ-გრილად სამოთხის დაკარგვა და სანაცვლოდ ეძიე გულ-მხურვალედ სასუფეველი!

ვეძიო? გზა ბევრ-გვარია და ყოველ-მხრივი! საით წავიდე? ვის მივენდო? დღეს „ნათლის სვეტი“ წინ აღარავის უძღვის! „ვარსკვლავსა თანა“ ვეღარავინ მოგზაურობს და ჩემდა თავად რომელიღა ავირჩიო? და რა ვსთქვა?

ვითარცა მატლსა ამირჩევია გზა სიმდაბლისა და ვითარცა კაცი ვამბობ: „იყავნ ნება შენი!“

აკაკი

სიცრუვე სამეგრელოს შესახებ.

წელს დიდი ხნის სურვილი შემისრულდა: სამეგრელოში განზრახული ჩემი მოგზაურობა ა. ლ. ქავთარაძის დახმარებით გამიხორციელდა.

ეს მხარე ბევრნაირად საინტერესოა ჩვენთვის: ენა, ისტორია, არქეოლოგია, საერო პოეზია ზნე-ჩვეულებითურთ და საერთოდ ეთნოგრაფია მეგრელებისა ქართველთა ტომის შესასწავლად მრავალგვარად საყურადღებოა. რაც წაგვიკითხავს და შეგვისწავლია, ცოტად თუ ბევრად თვალით ვნახეთ, ნათქვამს ნახული შევუდარეთ და გარდაწყვეტილი აზრი შევადგინეთ.

ამ მოგზაურობის აღწერას კვლავ გავუზიარებთ მკითხველებს და ახლა მხოლოდ ერთს გარემოებაზედ შევჩერდებით. მოგეხსენებათ, ჩვენს ქვეყანაზედ ბევრს უცხოელს პირს უწერია და ნაწერებში ხშირად ცრუ ცნობები შეუტანიათ და მკითხველს საზოგადოებაში გაუვრცელებიათ.

ამ გვარი დამახინჯებული ამბავი მეგრელთა შესახებ წავიკითხე ერთს ფრანგულს ჟურნალში. ამ ჟურნალს ჰქვიან „Lectures pour tous, Revue universelle, illustrée“. Hachette (mai 1901). მაისს წიგნში აღწერილია მეგრელების ყოფა-ცხოვრება და, სხვათა შორის, მოყვანილია ქორწინების ზნე-ჩვეულებანი. დახატულია ქართლელი მამაკაცი და დედაკაცი ბუზმენტის გვირგვინებით და ქვეშ უწერია: „მეგრელები“.

გარდა ამ შეცდომისა, აქ საკვირვლად დამახინჯებულია ცოლქმრობის დაკავშირების ცნობა. ავტორი გადმოგვცემს, ვითომ სამეგრელოში ჩვეულება არის, რომ ქალი იტაცებს საქმროს და თან დასძენს: საქმროსგან მოტაცება საცოლოსი ცნობილიაო, მაგრამ საკვირველი ის არის, რომ სამეგრელოში ახალგაზდა ქალი იტაცებს თავისს მეუღლესაო.

ამით არ დაამთავრა უცნობმა მწერალმა დამახინჯებული და გაუგებარი ჩვენთვის ზნე-ჩვეულების აღწერა სამეგრელოში. ბოლოს ერთი სიცრუე დაურთო და ამ სიცრუით მოუსპო თავისს ნაწერს ყოველი მნიშვნელობა, რადგანაც დაამტკიცა, რომ მას სამეგრელო არ უნახავს და არც იცის, სად არის სამეგრელო. იგი ამთავრებს აღწერას ამ სიტყვებით: აი რა ხდება სამეგრელოში, რომელიც შეადგენს პროვინციას სომხეთისასაო. ამის წამკითხველს ეკარგება ნდობა ავტორისადმი და ღირსეულად აფასებს მისს ნაბღაჯნს. სამწუხაროა, რომ საფრანგეთის მკითხველები შეჰყავს შეცდომაში და შეცდომას არავინ უსწორებს.

ა. ხახანაშვილი.

დაბა და სოფელი

ს. წინარეხი. შვიდს აგვისტოს აქ ამოვიდა კავთისხევის საზოგადოების მამასახლისი დ. ხიზანაშვილი და თან მოიტანა მირაბის მიხეილ ევგენისძე თარხან-მოურავის მოწერილობა, რომლითაც უბრძანებდა მამასახლისს, რომ მიღებისათანავე გაეწმინდ-გაეგანიერებინა წინარეხთელათგორის სარწყავი წყლის რუ და დროებით სასარგებლოდ იდლეთში მცხოვრებლებისათვის მიეცა, რომელთა საკუთარი რუ წყალდიდობისა გამო უვარგისი შეიქმნა, ხოლო უკეთუ ზემო აღნიშნული სოფლების მცხოვრებნი წინააღმდეგობას გაბედავდნენ, ეცნობებინა ბ. მირაბისათვის, რომ მას წინარეხთელათგორელების წინააღმდეგობა უმაღლეს მთავრობისათვის შეეტყობინებინა.

მოვიდა თუ არა მამასახლისი და განაცხადა ეს ამბავი, ხალხმა მაშინვე ერთხმად შესძახა, რომ ცოცხალის თავით ვერავის დაანებებენ ვერც წყალსა და ვერც ადგილს. კარგად გვესმის, რომ თანამოძმეებს გაჭირვებაში დახმარება უნდათ, მაგრამ არც ის ბრძნული ქართული ანდაზა დაგვიწყებია: „შინ რომ ბავშვი გიტიროდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო.“

მამასახლისი მაშინვე უკან დაბრუნდა, რომ ხალხის წინააღმდეგობა ბ. მირაბს აცნობოს. ამ საქმეს ძალიან დაწვრილებით გამოკვლევა ეჭირვება და ხალხსაც ჩაგონება უნდა, რომ შეიგნონ, საქმე რაშია, თორემ წინააღმდეგს შემთხვევაში შეიძლება დიდი უსიამოვნება მოხდეს, უკეთუ ძალა იქმნა ხმარებული. იმედია, პატივცემული მირაბი საქმეს სასურველად დაგვირგვინებს.

მოამბე.

ნარკვევი.

გუშინწინდელ „ცნობის ფურცელში“ შემდეგ ამბავსა ვკითხულობთ:

> უკანასკნელ დროს ვიღაც ცილისმწამებელნი, როგორც გადმოგვცეს, დადიან ქუჩა-ქუჩად და ავრცელებენ საზიზღარ ჭორებს ჩვენი რედაქციის წევრების შესახებ. რა ვუთხრათ ამ სულით მდაბალთ და გონებით ბნელ ვაჟ-ბატონებს, რომელთაც იმდენი რიგიანობაც არა აქვთ, იმდენად სინიდისს მოკლებულნი ყოფილან, რომ არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, ოღონდ ადამიანს ჩირქი წასცხონ?! რა ვუთხრათ იმ შუბლ-გატეხილ ცილის მწამებელთ, რომელთაც არ ესმით, რომ ისეთის საზიზღარის ბრალდების დადებისა და გავრცელებისათვის საჭიროა უტყუარი საბუთები ჰქონდესთ ხელში და არა ჭორები და თავის ავადმყოფ ფანტაზიით შეთხზული ფაქტები?! რა ვუთხრათ იმ უბადრუკ მეჭორეთ, რომელთაც ადვილად, სინიდისის შეუწუხებლად, შეუძლიანთ ყოველგვარ სისაძაგლის შეთხზვა?! რა ვუთხრათ იმის მეტი, რომ „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების“. სულით მდაბალ და გონებით ბნელ ცილის-მწამებელთ სხვა რა აბადიათ, სხვა რა უდევთ გულში, თუ არა სისაძაგლე?! როგორც თვითონ ადვილად შეუძლიათ მოყვასის შეურაცხყოფა, დაბეზღება, გალანძღვა, ჩაქოლვა, ისე სხვებზედაც ჰფიქრობენ. მათ სინიდისი არ დაუშლის დაბეზღებას და მაშ როგორ წარმოიდგენენ, რომ სხვებს, ცოტათი რიგიანთ, კაცის მოკვლა უფრო ადვილად მიაჩნიათ, ვიდრე ასეთის საზიზღრობის ჩადენა, თუნდაც თავის მტრის საწინააღმდეგოდ?!
>
> „ჩვენდა გასაოცრად, იმასაც ამბობენ, ვითომც მეჭორეთა რიცხვში ისეთებიც

ვენ: ყველას ჩვენი საწყალი გაგვეჭირვებიაო.

ვიგონოთ რუსეთის 1891 წ. ილობა და რუსეთისავე მრავაჟურნალ-გაზეთები, რომელნიც ლ ცისმარე დღეს შემდეგ საედ ლაპარაკობდნენ მაშინ: მაუდიდებულესობამ ხელმწიფე ატორმა, ხელმწიფის უავგუსმა სახლობამ და საგვარეულოხაზინამ, ბანკებმა, ამა და ამ გადო, საქველ-მოქმედო და ო დაწესებულებებმა და მავანმავანმა ადამიანმა ამდენ-ამშესწირეს დამშეულთა სასარლოდაო; დამშეულთავე შეწევნის გაიმართა მავალ ქალაქებში ოდგენები, კონცერტები, საერატურო საღამოები და ლოა-ალეგრებიო; დამშეულთა საბლოდვე დაარსდა ერობისაგან სხვებისაგან ამა და ამ ადგილეფქვილის ნაკლებ-ფასად გამი საწყობები, მუქთა სასადიბი, გაჭივრებულთა დამხმარეკომიტეტები, იაფ-სარგებლიავლეხო კასა-ბანკები და სამეო-სამრეწველო საქმეების გაობესებელი ბიუროებიო; ზოაცალა და ზოგან აპატივა ობამ მავანსა და მავან კუთხალხს ესა და ეს სახელმწიფო ხადები და „ნედოიმკებიო“; ნაც რუსეთის აუარებელი ო ხალხის ცხოვრებას ვერ ვიცნობთით ყოველ-მხრივ ზედ-მიწევნით და სწორედ ასეთმა უვიცობამ ჩვენმა ჩააგდო კიდეც დღეს რუსეთი ამისთანა საუბედურო ვაივაგლახში, ამისათვის ამთავითვე შეუდგა უმაღლესი მთავრობა მისს ცდას, რომ რუსეთის ყველა კუთხეების ინტელიგენციის თანა-დახმარებით დღეის შემდეგ მაინც ძირიან-ფესვიანად შეისწავლოს ხალხის ეკონომიური და სოციალური ყოფა-მგომარეობა და მისი მოქმედების წესწყობილებანი, რათა ცხადად გაითვალისწინოს მთავრობამ ყველა ის, თუ რა უჭირს და რა უნდა ხალხს საბოლოვო კეთილ-დღეობისათვის, რომ ქონების ფიტი მოიკრას და საკულოდ ვეღარ ჩააგდოს უმოსავლობამ ასეთ სავაგლახო განსაცდელში და სხვანი და სხვანი.

მე მგონია, ამის შემდეგ საჭირო აღარ არის ვრცელი ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ როგორ და რით უნდა დაეხმაროს ჩვენი მთავრობა და საზოგადოება ამოდენა დამშეულ ქიზიყს, რადგანაც საამისო პროგრამას მოქმედებისას თვით რუსეთის შიმშილობის მაშინდელ სარკეში ვხედავთ ყველანი ცხადად.

ერთი ჭირი მარგებელიაო, დიალაც რუსეთისათვისაც ერთის მხრივ მარგებელი იყო ხსენებული შიმშილობა: მრავალ სხვა 'აკეთილო საკითხთა შორის, იმ შ-მშილობის შემდეგ მიაქცია უმაღლესმა მთავრობამ უმთავრესი ყურადღება ქვეყნის მაცხოვრებელ მეურნეობა-მრეწველობის ყოველ-მხრივ გაუმჯობესობას. ღმერთმა ბრძანოს, ქიზიყის დამშევასაც იმ მხრივ მაინც საკეთილო-ბოლო ჰქონდეს, რომ მთავრობასაც და ქვეყნის ყველა გულ-შემატკივართაც ეხლა მაინც დიდი ყურადღება მიექცივნოთ მისთვის, თუ რა უჭირს და რა უნდა მიწად-მომქმედ საქართველოს ყველა კუთხეს თავისა და სახელმწიფოს კეთილ-წარმატებისათვის. აი მაშინ ვეღარ იტყოდნენ სხვა აზრით ამ ანდაზას: **Иванъ въ дуду играетъ, а Марія съ голоду умираетъ.**

დღეს ქიზიყში საშინელი ქესატობა (უვაჭრობა) გაუმეფდათ უანგარიშო ვაჭრებს და მხოლოდ ფქვილს, ხორბალს და გამომცხვარს დაუდგა დიდი გასავალი. მაგრამ ღმერთმა შეინახოს რა „საქონელსაც“ ქიზიყელებს ისინი აძლევენ მამა-სისხლად და წონაშიაც მოტყუებით. ჩვენა გვყავს ტფილისში ორი შეგნებული და მდიდარი ქიზიყელი კაცი: ტრიფონ ივანეს-ძე ჯამასპიშვილი და ილია მიხაილის-ძე ხარაშვილი, რომელთაც შეუძლიანთ რამდენიმე ათი ათას ფუთობითაც იყიდონ ფქვილები ტფილისში თუ რუსეთში და გზავნონ შეუწყვეტლივ დამშეულ ქიზიყში მცირე მოგებით გასასყიდად, რითაც დიდ სამადლო და სამახსოვრო სიკეთეს დასთესავდნენ თავიანთ სამშობლო კუთხე-ქიზიყში, რადგანაც დაეხწეოდა მრავალი ხალხი სომხის ვაჭართა ათასნაირად შეზავებულ-მაზნევარს, მწარე-ვაგლახ ფქვილებს, მეტ-ფასის ძლევას და წონაში მოტყუებას. თუ ასეთ კეთილ საქმეში აქაურმა შეძლებულმა ქართველებმაც: ივანე გომელაურმა, ვასილ და ალექსანდრე ნადირაძეებმა, ლუკა მოსულიშვილმა და სხვებმაც მხარი მისცეს, მაშინ ხომ უფრო მეტი სიკეთის მოტანა შეიძლებოდა ერთობის ძალ-მადლით.

დიდს სამადლო და სამახსოვრო საქმეს იზამდნენ უშემწეო გაჭირვებულ მოძმის გოდება-მწუხარების თავისს საკუთარ გოდება-მწუხარებასავით მიმჩნევნი და ადამიანთა კეთილ-დღეობისათვის საზოგადო დაწესებულებანი, რომ უმოსავლობით დიდად დაზარალებულ ქიზიყის ულუკმოპუროდ დარჩენილ ღატაკ ქვრივ-ობლებისათვის და შენახველ-გამქრალი, მოხუცი გლახა-მათხოვრებისათვის თითო-ოროლა გროში გაიმეტონ მათი უნუგეშობის ცრემლის მოსაწმენდად. თითო-ოროლა გროშის შეწირვას ადვილად შესძლებს ყველა ის, ვისაც კი დამშეული ხალხის უბედურება თავისს საკუთარ უბედურებასავით გულზე ეჭიდება.

დღეს ქიზიყში ერთი შაურის პურსაც შეუძლიან შიმშილისაგან რამდენიმე გულ-მდუღარედ ატირებული ბალღი დააჩუმოს და მადლი დასთესოს თვალ-ცრემლიან ხალხში, რომელიც ათასს გულ-მხურვალე ლოცვა-კურთხევას გაუგზავნის იმ შაურის შემომწირველსაც-კი. ასეთი შემოწირულებანი, თუ კი გაიმეჭორეთა რიცხვში ისეთებიც არიან, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ პრესსასთან.“ პრესსა და იმისი წარმომადგენელნი ყოველთვის და ყველგან სიმართლისა და ჭეშმარიტების აღმსარებელნი უნდა იყვნენ, ხოლო თუ ჩვენში პრესსის ზოგიერთი წარმომადგენელნი საზიზღარ ჭორებისა და ცილის-წამების გავრცელებას მისდევენ, ეს მხოლოდ ჩვენის საზოგადოებრივ ცხოვრების უმწიფრობის მომასწავებელია.

მწერალს, პრესსის წარმომადგენელს, ყოველთვის ხელთა აქვს თავისი იარაღი—კალამი და, თუ რაიმე აზრს, სათქმელს კალმის შემწეობით ვერ გამოამჟღავნებს, ის ღონისძიება მაინც ყოველთვის მოეპოვება, რომ მწერალთა კრებას პირადად და სიტყვიერათ გამოუცხადოს სათქმელი. ასე უნდა მოქცეულიყვნენ პრესსის ის წარმომადგენელნი, რომელთა შესახებაც გაზეთი სწერს, და თუ რამ ეჭვი ჰქონდათ, მიზანში ამოღებულთათვის სიტყვიერად და პირდაპირ უნდა გამოეცხადებინათ.

არიან, რომელთაც დამოკიდებულება აქვთ პრესსასთან, სახელდობრ ერთ-ერთ ქართულ გაზეთთან. ჩვენ არ გვჯერა ეს და იმედიც გვაქვს, რომ ის გაზეთი დაჰგმობს ცილისმწამებელთ და ამით თავიდან აიშორებს გაზეთის შემბღალავ ბრალდებას.

„მერე, ვინ უნდა დააჯერონ ამ სულმდაბალმა ცილის მწამებლებმა?!. ნუ თუ ჰგონიათ, რომ რომელმამე ცოტათი მაინც რიგიანმა და არა ფუქსავატმა ადამიანმა ისმინოს მათი სიტყვა?!. თუ იმდენათ გაკადნიერდენ, რომ არავითარი პატივისცემა აღარ აქვთ საზოგადოებისა; სრულიად აღარ სწამთ მისი რიგიანობა და ჰგონიათ, რომ ყოველივე საზიზღრობას ადვილად დააჯერებენ მას?!. ჩვენ არ გვინდოდა ყურადღება მიგვექცია ცილისმწამებელთათვის, მაგრამ რამდენიმე გარეშე პირმა პირადათ და წერილობითაც მოგვთხოვა აღნიშვნა ხსენებულ საზიზღრობისა. ჩვენც შეგვაქვს ეს ყოვლად უმსგავსო ფაქტი ჩვენის საცოდავის, ისედაც დაბეჩავებულის საზოგადო ცხოვრების მატიანეში. უმზგავსსა და უსინდისო მეჭორეთ-კი გზას ვულოცავთ: იჭორიკანონ, ავრცელონ ცილი რამდენიც ჰსურდეთ: ამით ისინი მხოლოდ თავის სულმდაბლობას დაამტკიცებენ, ჩვენ-კი ენერგიას ვერ შეგვიმცირებენ და საზოგადო საქმის სამსახურს განვაგრძობთ ისევ გულწრფელათ და მხნედ, რამდენადაც შეგვიძლია.

ჭორი და ცილის წამება რომ ჩვენში არ ახალია—ძველია, ეს ყველამ კარგად უწყის. სამწუხარო ამ შემთხვევაში ის არის, რომ, როგორც გაზეთიც აღნიშნავს, „მეტებს ვინმე რასმე, უმჯობესია ჯერ-ჯერობით ტფილისის ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში შეიკრიბოს შემწირველთა სახელ-გვარების გამოცხადებით, ვიდრე ქიზიყის ყველა სოფელში იდგილობრივ მღვდელ-მასწავლებელისა და სხვებისაგან გაჭივრებულთა დამხმარებელი კომიტეტი შესდგება.

რადგანაც წერილი გაგრძელდა, სხვა დროს მოგახსენებთ ცოტა რასმე იმაზედაც, თუ რა მიზეზებისა გამო არა აქვს დღევანდელ საუბედურო განსაცდელში ჩავარდნილ ქიზიყის უმრავლესობას ყვითელი ოქრო შავის დღისათვის და რა ცვლილებანია საჭირო მოჰხდეს როგორც მისს მეურნეობა-მრეწველობაში, ისეც ეკონომიურ და სოციალურ ყოფა-მდგომარეობაში, რომ უმოსავლობამ ველარ ჩააგდოს ხალხი ისეთ საშიშო და სავაგლახო ჭირ-ვარამში, როგორშიაც დღეს ქიზიყია ჩავარდნილი საუბედუროდ.

X

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

8 აგვისტო. *)

კონსტანტინეპოლი. მიუხედავად იმისა, რომ გარეშე საქმეთა მინისტრიც ჰპირდებოდა და ხუთშაბათს სულთანმაც სიტყვა მისცა საფრანგეთის ელჩს ზღვის პირის მოწყობილობათა გამოსყიდვისა, ზოგიერთა თავისს დაპირებაზედ სულთანმა უარი სთქვა სადავო ვალებისა და მოთხოვნილებათა შესახებ. ამის გამო საფრანგეთის ელჩმა აუწყა სულთანის პირველს მდივანს, რომ იგი ამიერიდგან ოტტომანის მთავრობასთან ყოველგვარ დამოკიდებულებასა სწყვეტს.

პეტერბურგი. 8 აგვისტოს ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული, საბერძნეთის დედოფალი, საბერძნეთის ბატონიშვილი ანდრია, დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული, დიდის მთავრის ვლადიმირის ასული ელენე, დიდნი მთავარნი მიხეილ ნიკოლოოზის ძე და სერგეი მიხეილის ძე და პრინცესსა ბატენბერგისა „შტანდარდტის“ საიმპერატორო იახტით ზღვაში იყვნენ დიდ ალღუმზედ, რომელიც გუშინ მოხდა ბიორკის მახლობლად. ამ ალღუმის დროს ნაპირზედ გადასხმულ იქმნა დასავლეთ კორპუსის რაზმი. რაზმისათვის გადასხმის დროს წინაალმდეგობა არ გაუწევია აღმოსავლეთის კორპუსს. ქვეითა ჯარმა თოფების სროლა დაიწყო და საარტილერიო ბრძოლა ასტყდა მხოლოდ მაშინ, როდესაც გემიდგან ნაპირზედ რაზმი გადავიდა. როდესაც „შტანდარტის“ იახტა მოვიდა, ამ იახტაზედ გადავიდნენ „სვეტლანადგან“ დიდნი მთავარნი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე, კირილე ვლადიმირის ძე, ანდრია ვლადიმირის ძე და ალექსი ალექსანდრეს ძე. დესანტის გადასხმის შემდეგ დროშა ჩამოუშვეს და ილოცეს, ხოლო $8^1/_2$ საათზედ უმაღლესი სადილი იქმნა გამართული. 9 ივლისს მათი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი პეტერგოფში დაბრუნდნენ.

ჩისტოპოლი. მდ. კამამ ძალიან იკლო. ზოგ ადგილას დიდი გემები ველარ დაიარებიან.

კიევი. ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ ელობინ-კიევის რკინის გზა სხვა მიმართულებით იქმნას გაყვანილი. ჰფიქრობენ, დასავლეთით დასწიონ; ამ მიმართულებით გზა კიევს ასცდება და ელობინს შეუერთდება კიევ-კოველის გზის (ეს გზა ეხლა გაჰყავთ) ერთ-ერთ სადგურზედ.

დნეპრის ტოტებსა—დესნასა, სოჟსა და პრიპიატში წყალმა იმდენად იკლო, რომ გემებს სიარული უჭირდებათ.

პარიჟი. ამბობენ, რომ, საფრანგეთ-ოსმალეთის ინციდენტის გამო, სამხედრო გემი „კასსარდი“ გუშინ ოსმალეთის ნაპირებისაკენ წავიდა, სადაც საზღვაო დივიზია უნდა მივიდეს და თან ეხლოს „კასსარდისსა“.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტოს“ ატყობინებენ სმალდელლიდგან 8 აგვისტოს რიცხვით, რომ რამდენისამე დღის წინად პოლკ. ბერკერი და მაიორი პინეკსფინი მოულოდნელად თავს დაესხნენ გასბრონის დოორინბერგის რაზმსა. მოკლულ იქმნა შვიდი ბური; ამას გარდა ორი დაიჭრა და 21 ტყვედ იქმნა წაყვანილი.

10 აგვისტო

პეტერბურგი. ბიულლეტენი დიდის მთავრინის ქსენია ალექსანდრეს ასულის ჯამრთელობისა 9 აგვისტოს: „დიდი მთავრინა თავს კარგად ჰგრძნობს. განკურნება წესიერად მიმდინარეობს. ცვლილება არც მთავრის დიმიტრის ჯანმრთელობაში მომხდარა“.—9 აგვისტოს გატჩინოში მოხდა ნათლობა მისის უმაღლესობის დიდის მთავრის დიმიტრი ალექსანდრეს ძისა.

პრეტორია. კაპის ახალშენში დაბადებული ვიღაც ეპტონი და სამი სხვა კაცი, რომელნიც ბურთა ჯარს ეკუთვნოდნენ, დაემორჩილნენ მტერს, მაგრამ შემდეგ მათ გაპარვა განიზრახეს. ეპტონის სამი ამხანაგი შეიპყრეს.

პარიჟი. იუწყებიან, რომ დიპლომატიური დამოკიდებულება ოსმალეთსა და საფრანგეთს შორის არ შესწყდება არც ოფიციალურად, არც საბოლოოდ, თუ სულთანი თავისას არ აიწიებს და დღევანდელ ყოფაქცევას არ დაადგება; წინააღმდეგ შემთხვევაში საფრანგეთის საელჩოს ყველა წევრნი კონსტანტინეპოლიდგან წავლენ. ოსმალეთის ელჩი მუნირ-ბეი ამ ჟამად პარიჟში არ არის. ელჩს ეცნობა, იმ დრომდე არ დაბრუნდეს პარიჟში, ვიდრე დიპლომატიური მოლაპარაკებანი არ განახლდება. რაც შეეხება იმ ზომებს, რომელთა მიღებაც საფრანგეთს შეუძლიან,—მას საზღვაო დემონსტრაცია ამ ჟამად განზრახული არა აქვს, თუმც შესაძებელია შემდეგში განიზრახოს ესეთი დემონსტრაცია.

კიურასაო. ვენეცუელის მთავრობა საზღვაო ექსპედიციასა ჰგზავნის კოლუმბიასა და ბარრანკვილში შესასევად და რევოლიუციონერთა მხარის დასაჭერად.

პეტრბურგი. 6 ივლისს, როდესაც ოზერკში ცეცხლი გაჩნდა, დაიღუპა პროვიზორი ედუარდ კრაევსკი. 8 აგვისტოს, დილით, პოლიციაში მივიდა „მეშჩანინი“ ვედერნიკოვი, რომელმაც განაცხადა, რომ ცეცხლი მე, ვედერნიკოვმა, და განსვენებულის კრაევსკის ქვრივმა წაუკიდეთო. ვედერნიკოვის სიტყვით, მისი გამოტეხის მიზეზი შემდეგი ყოფილა: ქ-ნს კრაევსკისას, რომელიც ჯერ ისევ ქმრის სიცოცხლის დროსვე დაახლოვებული ყოფილა ვედრონიკოვთან, ამ ბოლოს დროს გული ასცრუებია მასზედ. ამ დღეებში ვედერნიკოვს სრულიად შემთხვევით ყური მოუკრავს ქ-ნ კრაევსკისა და თავისს მეეტლის ლაპარაკისათვის. კრაევსკისა სთხოვდა მეეტლეს ვედერნიკოვის მოკვლას თავიდგან მოსაშორებლად, რადგანაც ის ორივეს გვიშლისო. იჭვიანობამ, უფროკი მოკვლის შიშმა—აი რამ აიძულა ვედერნიკოვი გამოტეხილიყო. მაგრამ, როგორც, სჩანს, ვედერნიკოვის ნაამბობი საფუძველს მოკლებულია და განსვენებული შემთხვევით დაიღუპა. ცეცხლის წაკიდების მიზეზიკი ის იყო, რომ ქ-ნ კრაევსკისას დასაზღვევი ჯილდო უნდოდა მიეღო, რადგანაც კრაევსკის ქონება 12,000 მანეთად იყო დაზღვეული. ვედერნიკოვი, ქ-ნი კრაევსკისა და მეეტლე დააპატიმრეს.

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 6 მაისიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 11 წამ. (10 სათ. და 9 წამ.), ბათუმში ჩავა საღამოს 7 ს. 58 წ. (8 ს. 56 წ.)

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 5 ს. 27 წ. (6 ს. 25 წ., ბათუმში ჩავა დილიქ 6 ს. 30 წ. (7 ს. 28 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 6 ს. 49 წ. (7 ს. 57 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 6 ს. 48 წ. (7 ს. 46 წ.)

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 7 დღის 1 ს. 40წ. (2 ს. 38 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს 38 წ.)

ტფილისიდგან ბაქოში

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დილის 9 ს. 17 წ. (10 ს. 15 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 1 ს. 48 წ. (12 ს. 46 წ.), ბაქოში ჩადის დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.),

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 8 ს. 18 წ. (9 ს. 16 წ.), ბაქოში ჩადის დღის 11 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.).

ტფილისიდან ყარსში:

ფოსტის მატარებელი საღამოს 10 საათ. 10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღით 12 ს. 3 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 2 საღამოს 9 ს. 42 წ. (10 ს. 43 წ.). ტფილისში ჩამოდის დილის 7 ს. 57 წ. (8 ს. 55 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 საღამოს 10 ს. 17 წ. (11 ს. 15 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 40 წ. (11 ს. 38 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილ
ს. 15 წ. (9 ს. 13 წ.) ტფილისში ჩა
დის საღამოს 7 ს. 38 წ. (8 ს. 36 წ.)

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბა
ბით დილის 5 ს. 20 წ. (6 ს. 18
ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 ს. 25
(8 ს. 23 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 10
15 წ. (11 ს. 13 წ.), ტფილისში მოდ
დის 4 ს. 13 წ. (5 ს. 11 წ.

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის
ს. 27 წ. (1 ს. 25 წ.) ტფილისში მო
დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 8 ღამ
ს. 5 წ. (2 ს. 3 წ.), ტფილისში ჩა
დის დილის 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.)

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი დღის 4 ს. 12
(5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დი
6 ს. 15 წ. (7 ს. 13 წ.).

საგარეო მატარებლები:

საგარეო მატარებელი № 18 მცხეთ
გან ტფილისში საღამოს 5 ს. 22 წ. (6
20 წ.), ტფილისში ჩამოდის 6 ს. 1
(6 ს. 59 წ.).

საგარეო მატარებელი № 20 მიხაილ
ვიდგან ტფილისში საღამოს 6 ს. 49
(7 ს. 47 წ.) ტფილისში ჩამოდის სა
მოს (10 ს. 14 წ. (11 ს. 12 წ.)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ამიერ-კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის
დეპო

ტელეფონი № 174.

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდა მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

განყოფილება
სასახლის ქუჩაზეა, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.
ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т--во Фармацевтовъ — провизору Алхазову.
(100—43—81)

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(წელიწადი მეოცე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერც
განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მო
მზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნე

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1901—1902
მოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერც
ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუჰალტერია მარტ
ორკეცი და საბანკო, 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკ
მერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი,
მსწრაფლ-წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурно
почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მი
ბა დაიწყება 1 სექტემბრიდგან ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თ
თმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში,
ხლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტ
ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიი
მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კან
რაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმარ
კურსების დამაარსებელს ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—133—15

---

*) ეს დეპეშა შეცდომით გამოგვრჩა.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10-го Августа 1901 г. სტამბა გრ. ჩარკვიანისა, სასახლის ქუჩა, № 117, 118. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.